მაგრამ თბილისის ერთ-ერთი უძველესი არქიტექტურული ძეგლის აღდგენა-რესტავრირების პრობლემა ერთობ რთული და ფაქიზია. შეიძლება საკითხი ასეც დაისვას — როდესაც ძეგლი იმ ზომამდე დაზარებულია, რომ მისი უმეტესი ნაწილი თავიდან არის ასაშენებელი, რა უფრო მისაღებია — ძეგლის რესტავრაცია, თუ მისი კონსერვაცია, მეტადრე, თუ გათვალისწინებთ, რომ არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრირების თანამედროვე მიღწევები, გამოცილობა და საშუალებანი ჩვენთვის, სამწუხაროდ, ჭერჯერობით უცნობია.

ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა კი, რა თქმა უნდა, მხოლოდ პროფესიონალს შეუძლიათ. სიტყვას ვუთმობთ სპეციალისტებს, რომლებიც ნარიყალას პრობლემის განხილვის მიზნით შეიკრიბნენ ქალაქ თბილისის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარი სამმართველოს გაერთიანებულ სამეცნიერო სამსახურზე.

ბატონი ლარი ვაშაძის შეხვედრაში, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, კულტურის მინისტრის მოადგილე:

ნარიყალას ციხისა და ეკლესიის აღდგენის საკითხი სამი ძირითადი პრობლემისაგან შედგება. პირველია, ქალაქდაცემარებითი პოზიცია, თბილისისათვის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დომინანტის,

ქალაქის სივრცობრივ კომპოზიციაში ჩართვის საკითხი. აქ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს თბილისის სტრუქტურაში ეკლესიის მოცულობის გაჩენა, მოგეხსენებათ, ნარიყალას ციხე მდებარეობს ქედზე, აქტიურად იკონება ქალაქის ყველა წერტილიდან და სივრცობრივ კომპოზიციის დომინანტს წარმოადგენს მეტეხის პლატოსთან ერთად. მიმართა, რომ ამ პანორამაში აღმოცენებული ტაძრის სილუეტი კარგად ჩაეწყობება და კიდევ უფრო გაამდიდრებს თბილისის ძველი უბნის არქიტექტურულ სახეს.

მეორე პრობლემა საპატრიარქოს გადასაწყვეტია და შეეხება იმას, არის თუ არა საჭირო ნარიყალას ტერიტორიაზე მოქმედი ეკლესიის გაჩენა, ჩემი აზრით, ეს მიზანშეწონილია იმ თვალსაზრისით, რომ ციხის ტერიტორიაზე კვლავ აღდგეს ქართული სული.

მესამე პრობლემა შეეხება კერძოდ არქიტექტურული ძეგლის აღდგენის მეთოდოლოგიურ საკითხებს, აქ გარკვეულ სირთულეებთანაა გვაქვს საქმე. მეცამეტე საუკუნის ეკლესიისაგან დღეს შემორჩენილია მხოლოდ კედლების უმნიშვნელო ნაშთი. ამ მონაკვეთების მიხედვით ძეგლის რესტავრაცია, ამ სიტყვის მეცნიერული გაგებით, შეუძლებელია. ამგვარი მცდელობა მხოლოდ საკითხის ფალსიფიცირება იქნება და იგი ეწინააღმდეგება მსოფლიოში მიღებულ, დამკვიდრებულ პრაქტიკას. თუ ჩვენ გვინდა მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად ვიმოღვაწეოთ ძეგლთა დაცვის ურთულეს და უმნიშვნელოვანეს საქმეში, კიდევ უნდა მივიღოთ და შევასრულოთ ის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობს მთელი ცივილიზებული სამყარო. ამჟამად მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ვინაიდან „რესტავრაციის“ პროექტის ავტორები უმართებულად ცდილობენ „აღადგინონ“ მეცამეტე საუკუნის დღეს უკვე არარსებული ძეგლი, ხოლო ძეგლთა დაცვის ქარტია პირდაპირ ამბობს, რომ „რესტავრაცია მთავრდება იქ, სადაც იწყება პოპოტენა!“ ასეთი შემთხვევისთვის საჭიროა ძეგლის აღდგენის — ფაქტობრივად ახალი მშენებლობის პროექტის სერუბული ზური განხილვა სპეციალურ სამეცნიერო სამსახურზე, ვინაიდან იგივე ქართლის მიხედვით ასეთი საკითხის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ პროექტის ავტორებს არა აქვთ.

ქალაქის არქიტექტურული დაგეგმარების მთავარი სამმართველოს და ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს გაერთიანებულ სამეცნიერო სხდომაზე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სწორედ ის პროექტი, რომელზეც ზემოთაა ლაპარაკი. მაგრამ, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, სამსახურზე არ გამოცხადდა ავტორი და არ იქნა წარმოდგენილი პროექტი. ამჟამად, ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველომ შეაჩერა ნარიყალაზე ყოველგვარი სარესტავრაციო სამუშაოები, ვიდრე საკითხის შესახებ არ იქნება მიღებული სათანადო გადაწყვეტილება.

თუ მკაცრად მივუდგებით იმ საკითხებს, რაც მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში, ყველაზე მართებული იქნებოდა, რა თქმა უნდა, მე-13 ს-ის ეკლესიის ნანგრევების ნაშთის კონსერვაცია. მაგრამ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო (საპატრიარქოს სურვილი აღადგინოს იქ მოქმედი ეკლესია და ქალაქის სივრცობრივი კომპოზიციის ინტერესებიდან გამომდინარე), შესაძლებლად მიგვაჩნია ძველი ეკლესიის ნაშთზე აღდგენა ეკლესიისა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული სარესტავრაციო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით.

ბატონი ირაკლი მახსარაშვილი, თბილისის მთავარი არქიტექტორი:

ნარიყალა ისტორიული თბილისის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ჩვენგან დიდი სიფრთხილით მიდგომას მოითხოვს. აქ ახალი ბაზილიკის, ან გუმბათოვანი ეკლესია-

ის, ან რაიმე, თუნდაც ძალიან ლამაზი ტაძრის აგება დაუშვებელია; მიმაჩნია, რომ ჩვენამდე მოღწეული საეკლესიო ნაგებობები კულტურის ისტორიის კულტურული ძეგლები და ჩვენამდე წარსულის იმიტირება უზარმაზარი შეცდომა იქნება. თუ ჩვენ ცივილიზებულ სამყაროს ვეკუთვით, უფლება არა გვაქვს ახლიდან ვაშენოთ ჩვენი წარსული და გავაყალბოთ ჩვენამდე მოღწეული, ერთსათვის ყველაფერზე უფრო ფასეული — ისტორია. არქიტექტორთა უმრავლესობა აცხადებს, რომ საჭიროა ნარიყალას მთლიანი კონსერვაცია, ახალი ტაძრის აგება ქალაქის ამ დომინანტზე დაუშვებელია.

ესა თუ ის ძეგლი თავისი ჩამოგრებული გვერდით, „ღრთა პრილობებით“ ჩვენამდე მოღწეული ცოცხალი ისტორიაა. ზოგს მიმაჩნია, რომ თუ ჩვენ ბოლომდე აღვადგენთ, ან ახლიდან ავაშენებთ წარსულის ძეგლს, ამით დიდძალი ენგლოვან საქმეს გავაკეთებთ. ეს, ჩემი აზრით, საკუთარ წარსულზე პლასტიკური ოპერაციის ჩატარებაა და მეტი არაფერი. ხოლო ძეგლი იმ სახით, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია, გასაგნებული მატიახეა. ჩვენ მხოლოდ ჩამოვადგინოთ ქვის თავის ადგილზე დაბრუნების უფლება გვაქვს, მაგრამ მიუღებელი სიყალბე იქნება, ჩუქურთმის ახლიდან გამოთლა, ამით მხოლოდ „ფსევდო წარსულს“ თუ აღვადგენთ. უნდა ვაკეთოთ ის, რაც ერის კულტურას ეკადრება. ქართული ხელოვნების ძეგლები მსოფლიო კულტურის საგანძურში შედის და ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის ის დარბაისური წესები, რომელიც მიღებულია მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროში.


ჩვენ მოვითხოვთ ნარიყალას ძეგლის კონსერვაციას, თუმცა საპატრიარქოს პოზიცია ჩვენგან პრინციპულად განსხვავდება. მათი სურვილია მოქმედი ტაძრის აგება. არსებობს ასეთი მაგალითებიც, ვთქვათ, ინგლისში — როცა კოვენტრის ტაძარი ყუმბარამ დაანგრიდა, თუმცა ყველას ახსოვდა ტაძრის პირვანდელი სახე, ისტორიის ეს ერთი მონაკვეთი მაინც დაფიქსირდა, დანგრეული ტაძარი ინგლისელებმა იმავე სახით დატოვეს და გვერდით სრულიად ახალი ეკლესია ააგეს, ფუნქციაც შეუნარჩუნეს და ისტორიაც არ გააყალბეს. არქიტექტურული თვალსაზრისით ეს ჩვენგან განსხვავებული შემთხვევაა. ნარიყალას მაგალითზე იგივე მეთოდის გამოყენება იქნება უხეში ჩარევა თბილისის მთლიან პანორამაში. იქ რაიმე ახალი ელემენტის შემტება, რაც არ უნდა სემანტიური მნიშვნელობა ჰქონდეს მას, რაც არ უნდა ნიჭიერმა არქიტექტორმა ააგოს და რაც არ უნდა ლამაზი ნაწარმოები შეიქმნას, იქნება სრულიად მიუღებელი დეკორაცია.

ნარიყალას ლანდშაფტური გარემოს დაცვასთან დაკავშირებით კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო — სამოციან წლებში, ნარიყალას თავზე „ქართლის დედის“ ფიგურა წამოიმართა. ეს იმ დროისათვის საოცარი და დიდი მნიშვნელობის ფაქტი გახლდათ. მაშინ, როცა მხოლოდ ბელადის ძეგლები იდგებოდა, თბილისის პანორამაში გაჩნდა სრულიად ახალი ეროვნული თემა, ამას მოჰყვა ვახტანგ გორგასალის ძეგლი, საერ-

ოდ ეროვნული თემატიკის აღზევება, რამაც ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმდროინდელი თაობისთვის. რა თქმა უნდა, მაშინ არ იყო ლანდშაფტზე ყურადღების გამახვილების დრო, მაგრამ დღეს, ალუმინის კოლოსის უფრო ამაღლებულ „ზიკურატზე“ დადგმა და საბოლოოდ დაფიქსირება ყოველად დაფიქრებლად მიმაჩნია. მშვენიერი რელიეფი აქვს თბილისს, ნარიყალას ნუ ჩავერევით ასე უხეშად. რაც შეეხება „ქართლის დედის“, საგვებით ვეთანხმები ბატონ ანრი ყრუაშვილს და შესაძლებლად მიმაჩნია გამოეძებნოს მას სხვა ღირსეული ადგილი.

ბატონი ვიორობი მარჯანი, შვილი, საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე:

ნარიყალაზე არსებული წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის აღდგენა შეუძლებელია. არანაირი მასალა არა გვაქვს იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ გუმბათის ზუსტი პროპორციები, დეკორის ხასიათი. შესაძლებელია მხოლოდ პირობითი გრაფიკული აღდგენა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყოველი არქიტექტურული ნაგებობა ინდივიდუალურია, ვერანაირი ანალოგია ვერ გამოდგება მასალად ნაგებობის ზუსტი რესტავრაციისათვის. განზრახული სამუშაო, უკვე სცილდება რესტავრაციის, როგორც დისციპლინის ფარგლებს. საკითხი სხვაგვარად უნდა დაისვას, თუ საპატრიარქო აუცილებლად ჩაითვლის ახალი ეკლესიის აგებას, ეს იქნება ახლის მშენებლობა ძველი ფენების თანხებთან ხდებოდა. გათვალისწინებული უნდა იყოს რესტავრაციის გამოცილებაც; თავიდან იღვას არქიტექტურული ძეგლის აღდგენის საკითხი და მისი გადაწყვეტა დაევალოს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს, პრინციპულად ეს იმთავითვე არ იყო სწორი გადაწყვეტილება. სამეცნიერო მეთოდურმა სამსახურმა რამდენიმეგზის უარი უთხრა ავტორს ეკლესიის მთლიან აღდგენაზე, მაგრამ სამუშაოები მაინც გრძელდებოდა და დაფინანსებაც ძეგლთა დაცვის თანხებთან ხდებოდა. დღევანდელი სიტუაციის პირობებში, ძეგლთა დაცვისთვის ეს დიდი ფუფუნებაა, მითუმეტეს, რომ სარესტავრაციო სპეციფიკურ სამუშაოთა რიგს ეს სამუშაო არ განეკუთვნება. ძველ ქალაქში არის ჩამდინიე დიდი ტაძარი, მოქმედი ეკლესია, აუცილებლობა ახალი ტაძრის მშენებლობისათვის არ უნდა იყოს, მაგრამ ეს საპატრიარქოსა და მთლიანობაში საზოგადოების გადასაწყვეტია, მხოლოდ პრინციპული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ყველაზე უბრანო იქნება გამოცხადდეს კონკურსი და არ დავენდოთ მხოლოდ ერთი პიროვნების გამოგნებას. მსგავსი პრაქტიკა ჩვეულებრივი იყო საქართველოსთვის. მოგეხსენებათ, სვეტიცხოველის აღვილას არსებობდა ვახტანგ გორგასალის დროინდელი ტაძარი, შემდეგ ის დაინგრა და მეფეთმეტე საუკუნეში გორგასალისეული ტაძრის ნანგრევების გამოყენებით აიგო ახალი ეკლესია, სრულიად განსხვავებული წინანდელისაგან. ერთი და იგივე ხანის არც ერთი ეკლესია, მიუხედავად ტაბოლოგური მსგავსებისა, არ იმერობდა



ერთი-მეორეს. ერთ ხანაში აივო სპეციფიკაციის, ალაგვრდის, ბაგრაძის ტიპის, სამი განსხვავებული არქიტექტურული ნაწარმები. ის ფარგლები, რასაც ქრისტიანული დოგმატიკის დაცვა მოითხოვს, არა თუ არ უშლის შემოქმედს, არამედ ხელსაც უწყობს სიღრმისეულ ძიებებში.

გატონი დიმიტრი თუშანიძე
ლი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელის პართული ხელოვნების ინსტიტუტის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საეკლესიო ხელოვნების საბჭოს წევრი; თბილისის დედაციხის აღდგენის პრობლემის საქმით ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ თემაზე მუშაობდა ტაროელი კიპაროძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო, ხელოვნებათმცოდნე სტუდენტობის, ირინე ელიზბარაშვილიდან და ჩემთან ერთად; გვიწვდომდებიან ბაბუის ლევიან რეგულირებული და კონსულტაციის გვიწვდომ ბატონი გიორგი ლომთაძემ. მაშინ, ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ერთადერთი, რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო, ეს ტაძრის მხოლოდ და მხოლოდ ქედსაღებზე აღდგენა, გრაფიკული რეკონსტრუქცია გახლდათ, საკმაოდ შორეული ანალოგიების მოხმობით. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თავად ტაროელი კიპაროძის გამოქვეყნებული ნაშრომში ნათქვამია შემდეგი: „მაგალითების სიმცირის გამო, გუმბათის ყელის მოცულობა აღებულია ვარაუდით. გრძივი ფასადების პროპორციები შეაბრუნა და აღდგენილია სიმბოლოები“. მაგრამ „მოცემული სიმბოლოები“ არ იძლევა ნამდვილ ზომას. ტაძარი გადარჩენილია ფრიალ ფრამენტულად, ყველაზე მაღალი წერტილი, დასავლეთის მხარეს, წინადაცლი სიმაღლის საუკეთესო შემთხვევაში, ნახევარი თუ იქნება. რეალურად — უფრო ნაკლები კი. აღმოსავლეთის მხარისკენ კედლები კიდევ დაბლაა და იქ ნახევარი მეტრი იქნება. აღმოსავლეთით ტაძარი იმდენად დაზარალებულია, რომ იქვე თავის დროზე საკმაოდ დიდხანს ვაძაბობდით, თუ რა ფორმისა უნდა ყოფილიყო საფასადო ნიშები, ნახევარწრიული თუ სამკუთხედიანი — ასეთი რამაც კი ვერ ირეკვება ადგილზე. ეკლესია, როგორც ჩანს, დაიხარა ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის შუა ხანაში და მას შემდეგ არ აღდგენილა, ათას ცხრასამაგიერ წლებამდე მიწის ქვეშ იყო მოცული. ამდენად, ამ ადგილს საკუთრივ ფუნქცია სულ ცოტა ორასი წლის წინ მაინც აქვს დაკარგული. დღევანდელ სინამდვილეში ამ ტაძრის რესტავრაცია, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, შეუძლებელია, ეს იქნება ახალშენი, რომელშიც, ალბათ, გამოიყენებენ თავდაპირველ ფრაგმენტებს, მაგრამ ის პროექტი, რომელიც დღეს თითქოს უნდა განხორციელდეს, პრეტენზიას აქვს რესტავრაციისას იქნება. ეს ძალიან კარგად ჩანს იმ ფორმებით, რომელსაც გვთავაზობს ავტორი. ხოლო თუ ჩვენ რეალურად წარმოვიდგინებთ, ეს არა იქნება, მივიღებთ ასეთ სურათს: ქვემოთ დარჩენილია ერთი მერვედი, შეიძლება უფრო ნაკლებიც ძველი ყოფილიყო, ზემოდან კი დგას სრულად ახალი კედლები და ამ ახალი კედლებზე გაკეთებულია პროპორციულად დაზარალებული პროპორციული, ვინაიდან ისტორიკოს-რომელიც თუნდაც დახვეწილ პროფილს გააკეთებს, რომ აღარაფერი უფროსი ჩუქურთმაც, ჩვენ ვერ ვთავაზობთ, ახალი ყველაფერი იქნება წარმოსახვითი, რადგან ჩვენ ზუსტ ანალოგიებს, მითუმეტეს გუმბათისათვის, ვერ მოვიხაავთ. საქმე ის არის, რომ იმდროინდელი გუმბათები გადარჩენილია მხოლოდ სამცხეში, დედაციხის ტაძარი კი იმხრობა ქართლის ძველებს, რომელთაც გუმბათები არ შერჩენიათ; ამავდროულად ქართლის ძველები განსხვავდება სამცხის ხუროთმოძღვრული ნაწარმოებებისაგან. სრულებით წარმოუდგენელია ინტერიერის აღდგენა, რადგან არ არის არავითარი ხელშეწყობი თუ საღი იწყებოდა და მთავრდებოდა ფაღები, კამარები, რა სიმამლივე იყო აღმართული გუმბათითა და ა. შ. ასე რომ, ახალი, საკმაოდ ხანგრძლივი ნაგებობა დაედგება ზემოდან ძველ ნაშთს და ის უკანასკნელი, უძველესი, როგორც მხატვრულ-ისტორიული ძეგლი, განადგურდება, გაქრება ახალშენში.

ამ რამდენიმე წინს წინ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან შეიქმნა საეკლესიო ხელოვნების საბჭო, რომლის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულადაც შეერთებული იყო წმინდა ქეთევან წამებულის ქანდაკების ექიპო. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: თავმჯდომარე — უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სასულიერო პირნი და საეკლესიო ხელოვნებათმცოდნეები. წმინდა ქეთევან წამებულის ძეგლის თაობაზე გამართული მსჯელობისას საბჭო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა ფართო საზოგადოებისთვის გაცხადდეს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება მრავალი ქანდაკებით წმინდანთა გამოსახვის მიმართ; ამასთანავე, აუცილებელია გატარდეს გარკვეული დონისძიებები, რათა საეკლესიო ხელოვნების სფეროში თავიდან აცილებულ იქნეს სხვა შეცდომები თუ გაუგებრობა. ვებუდავთ სხდომაზე მიღებული მიმართვის ტექსტს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო ხელოვნების საბჭოს მიხედვით
ქართულ ხალხს ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას

დღეს კვლავ უბრუნდება ქართველი ქრისტიანობას, მიიღობს ეკლესიასაც. მრავალს უჩნდება სურათი თავისი დამოკიდებულება საქვეყნოდ გამობრუნებას, რითივე გამობრუნების იგი. ტაძარია შენების, მათი მოხატვა-გამართვის ვარდა, შემოთავაზებულია სიახლენი — მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა (წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს, წმინდა ქეთევან წამებულის და სხვათა) ძეგლების — დიდი ზომის მრავალი ქანდაკებების დადგმა.
საფიქრებელია, რომ ამგვარი წინადადებების ავტორებს გულწრფელად სჯერათ თავისი განზრახვის სიკეთე და მართებულობა, მაგრამ ფუნდამენტური საეკლესიო გამოცდილების გაუთვალისწინებლობით ისინი უნებურად ეწინააღმდეგებიან თავი მართლმადიდებლობას, არღვევენ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. წმინდა მამათა მოძღვრებით წმინდანთა გამოსახულება მორწმუნეთათვის უცილებელია, ადამიანი მათი საშუალებით უკავშირდება უფალს, ყოველდღე წმინდა ღვთისმშობელს და წმინდანებს „**ვინაიდან კაცსა უხილავთა ნივთთა ნამდვილი ცნობა არა აქუს... ამისთვის ცნობასა უნდა შენახუნად მისსა, საჩუენავლად და განსაცხადებლად ნივთთა დაფარულთა არიან ხატნი**“ (წმინდა მამა იოანე დამასკელი — „წმიდა ხატთათვის“). ჩვენი ტაძრებში, რომელნიც ქვეყნისთვის ღვთივქმნილი წესრიგის სახეა, ფერწერით შესრულებული ანდა რელიეფური, ე. ი. ნახევარბრუნადი გამოსახულება, უფლის ერთიანი ეკლესიის განუყოფელი ნაწილია. ცალკე მდგომი ქანდაკება კი რა წამს მისდამი ღირსება ადევლინება, როგორც ეკლესიას მოწყვეტილი დამოუკიდებელი არსი, ღვთაებრიობას მიიჩნევენ და კერპის მნიშვნელობას შეიძენს. ვარდა ამისა მართლმადიდებელი ტრადიციით წმინდანთა გამოსახულების აუცილებელი თვისებაა მისი მცარეად არაორაზროვანი პირდაპირი „სახით“ კავშირი მლოცველთან, რაც გამოიხატება უკონტროლო და

მრავალსახოვან რაკურსებს. სწორედ ამიტომ ძველად, მაშინაც კი, როდესაც იყო საჭიროება სამანსოვრო ძეგლის დადგენისა, ჩვენში რელიეფებით ნაქანდაკებ სტელებს, ან ქვაფეხებს აღმართავდნენ ხოლმე, რომელთაც სიმბოლიკა და დამბრობაც კი იგივე პქონდათ, რაც ტაძრებს. „**ამისათვის მანათ ვიძახეთ დამხარავლნი სარწმუნოებისა და ეკლესიისა მიერ გარდმოცემისა კლდესა ზადა, ნუ გარდავალთ ზღუდეთა რომელი წმიდითა მამათა ჩვეთა დაზვედვს და ნურცა ვიკადრებთ ახლისა რაისაზე შემოღებით მის დარღვევასა, რაცა ალაშქრანა წმიდამან სამოციქულო და კათოლიკა ეკლესიამან ღმრთისამან. რამეთუ უკეთუ ყოველსა, ვინცა იკადრებს ნება ერთვის გაგადგოს ესა, მაშინ ხოვალი გვაში ეკლესიისა მცირად მცირად დაირღვევის. ნუ მანათ ნუ ჰრისხან მოუპარანო უწილნი ეკლესიისანო**“ (წმინდა მამა იოანე დამასკელი — „წმიდა ხატთათვის“).


აქედან გამომდინარე მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა ცალკე მდგომი მრავალი ქანდაკებებისა, თუ საერო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი დროის სულისკვეთებას დამორჩილებული სხვა უცხო მეთოდებისა და სერხების საეკლესიო ხელოვნებაში დამკვიდრება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიუღებელი და დაუშვებელია. შეუწყურებელია აგრეთვე საეკლესიო სიწმინდეთა „პოპულარიზაცია“ ბოლო დროს გავრცელებული გაყალბებული ფორმებით, როგორცაა: საერო დაწესებულებებისა და ადგილებისათვის წმინდანთა სახელების დარქმევა, მაცხოვრის, ღვთისმშობლისა თუ წმინდანთა ხატების ყოველდღეური ყოფითი მოხმარების საგნებზე, პროდუქტებისა და სხვა ნაწარმის შეფუთვაზე გამოსახვა და სხვა.

დარღვევების თავიდან ასაცილებლად საჭიროა აღდგეს ტრადიციული კავშირი საეროსა და საეკლესიო ფასეულობებს შორის. ძველად ტაძრის აგება-შემკობის ხელმძღვანელობას ამ საქმის თაოსანი მეფე-მთავარი, თუ სხვა საერო ეკლესიის უფროსი მით უფრო აუცილებელია ეს დღეს, რადგან ჩვენი საზოგადოება ახლანდელი იბრუნებს დაკარგულ სულიერ ცოდნასაც და მისი არსის გამომსახველ საეკლესიო ხელოვნებასაც. ამიტომ საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან, ხელოვნებასთან და საერთოდ საეკლესიო თემატურასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის უფლება კვლავ ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს, სადაც საპატრიარქოსთან შექმნილი საეკლესიო ხელოვნების საბჭო უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით განსაზღვრავს ამა თუ იმ წინადადების, მოსაზრებების თუ განზრახვის მართებულობას.

ამასთან დაკავშირებით საეკლესიო ხელოვნების საბჭოს დადგენილებაა:

1. აღდგეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეცნიერების — სარწმუნოებრივი კულტურისა და საეკლესიო ხელოვნების სფეროში ეკლესიის კუთვნილი უზენაესი გადაწყვეტილებების უფლება;
2. მიხედვით წინადადებებისა და კონსულტაციის გაწევა საერო ხელოვნებაში და ყოფაში საეკლესიო თემატიკის ასახვის შემთხვევებში, ხოლო განსაკუთრებით მიუღებელ განზრახვათა აკრძალვის მიზნით კი საერო ხელოსნების წინაშე შუამდგომლობა.

გლი, განადგურდება, გაქრება ახალშენში. არის მეორე ვარიანტი. თბილისის დედაციხის გთბრები, რამდენადაც მე ვიცი, არ დამითავსებია. ეს იმის ნიშნავს, რომ როდესაც ვათხრები გაგრძელებულ ქვემოთ, შესაძლოა, ეს ეკლესია აღმოჩნდეს კუნძულზე და მის ვარშემო იქნება გათლებით უფრო დაბლა დაწეული მიწის დონე, არადა ყოველ დაუშვებელია აქ გათხრების დაუშვებლობა, ვინაიდან სხვაგვარად ჩვენ თბილისის უძველეს ისტორიას ვერა-სოდეს შევიცნობთ. ეს არის ადგილი, სადაც უნდა ყოფილიყო ჩვენი დედაქალაქის უძველესი, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი უძველესი დასახლება და ამის შესწავლა არ შეიძლება. წერილობითი წყაროები ჩვენ არ გვაძლევს ამის საშუალებას და შეიძლება ითქვას ვათხრები უკანასკნელი იმედი, რომ რალაც გავიგოთ თბილისის ძველთაძველი ისტორიდან.



ფუნქციური თვალსაზრისით თუ არის საჭიროება აქ სალოცვის არსებობისა, მაშინ კამათი ცოტა განდობდება, მაგრამ დღესდღეობით ამ უბნისთვის, სადაც რამდენიმე საკმაოდ მოზრდილი, მოქმედი ეკლესია, მე მეჩვენება, რომ მოცდა შეიძლება. უკეთეს აქ რალაც უნდა აღდგეს, გასაკეთებელია სრულებით სხვა პროექტი, რომელსაც არ იქნება პრეტენზია რესტავრაციისა, პრეტენზია რალაც ძველის მიმგვანებისა ან გამეორებისა, ესაა სრულებით სხვა ამოცანა, რომლისათვისაც, როგორც თვალნათლივ ჩანს, ჩვენი ხუროთმოძღვრება მზად არ არის. წლებში უნდა განვლოს, რომ ჩვენ ვაგონიდეს გამოცდილება მაგვარი სიმშაობებისათვის და ამ მხრივაც აჩქარება არა მგონია მართებული იყოს.

თბილისი მეცხოვრებელ საუკუნეშიც ინარჩუნებდა ზოგადად ძველ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახეს (რაც მართლაც მეტ-ნაკლებად ასეა), 1940-იან 70-იან წლებში იგი ისეა განადგურებული, რომ ჩემთვის გაუგებარია, რატომ ვიწყებთ მინცდამინცე ნარეკალს ეკლესიით, როდესაც არის არანაკლებ ჩემის ფიქრით, კიდევ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა — მეტეხის კონცხის განაშენიანება, რიყე; ყველა შემთხვევაში, ეს უნდა იყოს ერთიანი ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრი და თუ ეს ყველაფერი აღსდგა, მაშინდა უნდა დავისვას საკითხი თუ რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ კვლავ „ამოქმედდეს“ მხატვრულად დედაციხე და მისში კიდევ წინადადების ვერტიკალური დომინანტი. დარღვეული ანსამბლის ერთი ელემენტის აღდგენა კი არა მგონია აზრიანი იყოს.

ამგვარად, თუნდაც ძველთა დაცვის, თუნდაც ქალაქმშენობითი, კომპოზიციური თვალსაზრისით — და მე მეჩვენება, რომ ფუნქციურად, — ამ ეკლესიის აღდგენა ან ხელმეორედ აშენება არ არის მოზარეულობა. უკეთეს ტაძარი აშენდება, მას საუფლებლად სრულებით სხვა, ახლა წარმოუდგენლისაგან განსხვავებული ჩანაფიქრი უნდა დაიდოს.

თავს უფლებას ვიძლევეთ ჩვენის მხრიდან დავსძინოთ შემდეგი — გასაგებია, რომ დღევანდელ დღეს ისეთი მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული ძეგლის რესტავრაციისა თუ კონსერვაციის საკითხის გადაჭრას, როგორც ნარეკალა, პროფეს-

იონალიზმი, წინადადებულა, გონიერება, სიღრმე, დაბოლოს გემოვნება ესაჭიროება, მაგრამ როდესაც საქმე ეხება წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის (საერთოდ ყველა დაზარალებულ თუ გაუქმებულ ეკლესიას), აქ საკითხი, ვფიქრობთ, სრულიად განსხვავებულია უნდა განხილვებოდეს, ვიდრე ნებისმიერი კულტურული-ისტორიული ძეგლის რესტავრაციის პრობლემის შემთხვევაში, რადგანაც განსხვავებულია ის ამოსავალი პრიციპები, რასაც ეფუძნება საერო ნაგებობის, თუნდაც ის მხატვრულად მეტად ფასეული იყოს, და სასულიერო ტაძრის აღდგენის საკითხი. დაზარალებული ეკლესია, მისი ნაფიქარი მარადიულად ინარჩუნებს იმ მისტიკურ არსს, რაც ერთხელვე შეიძინა. ჩვენი წინააღმდეგობა, რომელიც ეკლესია-მონასტრებს უწინარესად რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც ბუნებრივად ერწყმოდა ტაძრებისა და ხატების კულტურულ-მხატვრული ღირებულება, ეკლესიის დაზიანებული შინაგონის აღდგენის, თუ ნაფუძარზე ახალი ტაძრის აგების დროს ძველი ეკლესიის საკურთხევლის ახლადგებული ტაძრის სივრცეში აქცევდნენ, რათა შეენარჩუნებინათ ღვთიური მარადიული არსი. ამდენად, სამომავლოდ ყველა ეკლესია უნდა აღდგეს და ყველა ტაძრის ნაფუძარზე ახალი ტაძარი უნდა აიგოს. სხვა საკითხია, როდის დაუდგება საქართველოს ამ სულიერი მისიის განხორციელებისათვის ხელსაყრელი დრო და როდის მიეცემა საეკლესიო ხუროთმოძღვრების მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების საშუალება.

პუბლიკაცია მოამზადეს ირაზა ქანიაშვილმა და დალი ვარსანიშვილმა

(დასასრული)

პარტი... გულს არ დაეწვევტ და განვეუქრებთ მიზეზს: როდესაც რომელიმე დიდი ორდენი ორად დაიყო საპარლამენტო არჩევნებთან დასაკიდებულებით და ერთმანეთის შიშით არ ოპონირებენ აღმოჩნდნენ ტრადიციონალისტთა კავშირი და მონარქისტული პარტია, ჩვენი მოსაზრებით, იმხანად მრწამსის-ველ ფასეულობებს შეეკენა გარკვეული საფრთხე და პოლიტიკური კლიმატში ჩართვას, რწმენის აღებულებად დაჩვენა ვამჯობინეთ!

ხოლო, თუ რად ვესწრაფოდით ასე დაეინებოთ ტრადიციული ქართული სახელმწიფოს ძველი სახით კვლავ აღდგინებას, გარდა იესიან-დავითიან-შაგრატიანი ღაბაშვილის ლეგიონის ნიშნით გაბრწყინების სურვილისა კონსტიტუციურ-მონარქისტული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი უკვლა სიკეთეებითურთ. უმთავრესი ვახლდათ ის გარემოება, რომ სწორედ სამეფო წყობაზეა მიგვანდა უოველთვის საბჭოთა კავშირიდან თავის დახსნის საუკეთესო საშუალებად, რადგან რეპუბლიკური სტრუქტურების უარყოფით ავტომატურად უარყოფილი ხდებოდა საბჭოური სტრუქტურები და უოველგვარი სამოკავშირეო ხელშეკრულებანი თავისთავად ბათილდებოდა!

ჩვენ განსაკუთრებული უნდობლობით ვეკიდებოდით მსგავს სამეგობრო ფორმებს და ყველა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც კი იქმნებოდნენ საქართველოში, მათ ერთვულ მრწამსში საორიენტაციოდ სწორედ სამოკავშირეო ხელშეკრულებათან დამოკიდებულება მიგვანდა.

ამიტომაც, თვით მრავალ უსიამოვნებათა ფასდაც არ ვერიდებოდით იმ ორგანიზაციას თუ პარტიასა და უფრო მეტი მხილებას, რომელთაც საქართველოსათვის ადგილი ერთა განახლებულ ურთვევ თანამეგობრობაში ეკავოდა.

პირველი, ვისი მოვლენების წინააღმდეგაც ავიმდლებო ბმა, იყვნენ სოციალ-დემოკრატები. მის შემდეგ, რაც კომუნისტურმა პარტიამ სრული დისკრედიტაცია განიცადა, ხალხის თვალის ასახვევად აპარატისათვის საჭირო იყო არეწახე გამოსულიყვნენ „ადამიანური იურსახის“ სოციალისტები, რომლებიც ახალ ყალიბში ჩამოასხამდნენ მიწიერი სამართის და-წვევების ლემავიგურ დაბრუნებას. მაგრამ ჩვენთვის სოციალ-დემოკრატთა პირველადი (და არა შარშანდელი, საოქტომბროდ ფერანცული) პროგრამიდან მთავარი ის იყო, რომ დამოუკიდებლობის ლოზუნგებს ქვეშ შეფარული ჰქონდით ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებასავე მის წარფება. ამდაც გავეუთანებეთ შარშან მათი მოღვაწეობა საზოგადოება „სტალინის“ და კომპარტის მოღვაწეობას („ახალგაზრდა ივერიელი“ №113, 1991 წ.) და ავი არც გვიმტყუნეს: მათი პარტიის თავმჯდომარემ რადიოსადგურ „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ტალახით მოსვარა დღევანდელი, თავისუფლების გზაზე მავალი საქართველო (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 მაისი, 1990 წ.).

მეორე სერიოზულ საშიშროებას, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პოტენციურ ხელშეწყობა თვალსაზრისით, დასაბამს აძლევდა „თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ გამოჩენა. მასში შეკრებილი იყვნენ უპირა-

ტესად ინტელიგენციის იმ წრის წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა კავშირს „ჩვენს ქვეყანას“ უწოდებდნენ, თავდაც იმპერიული საზომით აზროვნებდნენ და საქართველოც კერ წარმოედგინათ საბჭოთა კავშირის გარეშე. მათი ასპარეზზე გამოსვლისთანავე მივეუთოდით პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში მათ მიერ შემოპარებულ თავისებურ მაკორიტირებულ („მაიმული“ №18 1990 წ.). და არც აქ გვიმტყუნა გრძობამ, რისი დასტურიც გახლავდა იმ საზოგადოების თავმჯდომარის ეპოპეა წინასაპრეზიდენტო არჩევნებში.

და იმ, შესამე — მესამე საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაჯგუფება, სილიანაც წინდებდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მიზნება დასი, ვახლავთ ისტორიულ საგვარეულოთა საქრებულო — ცენტრისკენულ ძალთა მიერ გათამაშებული ახალი კერტი, ამჟამად უკვე თავდაზნაურულ დონეზე. ხოლო, ვიდრე მისი მესვეურნი, შემოთ დასახელებულთა მსგავსად, საკუთარ თავს, გამოაშვარებდნენ, ვცადით ნათქვამის დასაბუთება: როგორც უკვე გამოირკვა, ისტორიულ საგვარეულოთა საქრებულოს არაფერი აქვს საერთო საქართველოს სამეფოს აღდგენის სურვილთან. ხოლო, რა შეიძლება ითქვას იმ საქრებულოზე, რომელიც თავდაზნაურთაგან შედგება და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგაც მსგავს ვითარებაში უნდა გავარჯივით, რომელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან აქვთ მათ კავშირი. როგორც ბატონ ნ. ავალიშვილის წერილი ცხადყოფს, ესენი, პირველ-ყოფლისა, არიან რუსული დიდგვაროვანი წრეების წარმომადგენლები. ხოლო ქეთევან ამირჯანბის, გოლიცინის სტუმრობისთან დაკავშირებულ წერილში შავით-თეთრზეა განმარტებული:

«Сегодня потомки русско-го и грузинского дворянства ищут свое место в хаосе жизни, из которого должна родиться новая жизнь. А когда общие цели — есть и глубокий взаимный интерес.»

ახლა ვითხოვთ, ვინ არის ის ხალხი, ვის მიმართაც ქართული საქრებულოს წევრებს

«Глубокий взаимный интерес» გასჩენიათ? ისინი, თავად ანდრეი გოლიცინის მეთაურობით ვახლავან რუსი მონარქისტები, რასაც კიდევ ახახტუებენ რუსეთში ვლადიმერ კირილოვიჩის გამეფების ხურვილით. ამდენად, რუსი თავდაზნაურები ერთდროულად მონარქისტებიც არიან. შემოქმედლიდან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ თუ ქართველ თავდაზნაურებს არ სურთ საკუთარი მეფის ყოლა და ამევე დროს მკვიდრო ინტერესებით არიან დაკავშირებულნი რუსეთის თავდაზნაურობისთან, რომელთაც, მათგან განსხვავებით, სწადით საკუთარი გვირგვინისათ, ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობის პირობებში, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქართველ თავდაზნაურებს არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, დასთანხმდნენ რუსთა ხელმწიფე-იმპერატორის ქვეშევრდომობას? (ვინც რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ყურადღებით თვალს ადევნებს, შეუძლებელია არ დაგვეთანხმოს, რომ შორს არა დავს რეალობასთან ახლო მომავალში იქ მონარქის აღდგენა) ასეთი თავდამოუნება არ ახალია ქართველი თავდაზნაურების გარკვეული ნაწილისათვის: პავლე ციციანოვიდან გიორგი მუხრანსკიმდე მრავალნი ყოფილან იმპერიის ერთგული გუ-

შავნი და ახლოც არ არის გასაკვირი, მათი იდეური შთამომავლების გაჩენისა.

ამრიგად, თუ აქამდე არსებობდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების მომხრეთა პარტიული-სოციალ-დემოკრატიული, ინტელიგენციის — „თანხმობისა“ და აღორძინების კავშირის“, ახლა მათ დაემატა ახალი, თავდაზნაურული მოდელი. მაგრამ მის შექმნაში საქრებულოს ყველა წევრს როდი აქვთ ხელი. წერილის ავტორი, თავისი უშუალოდითა და გულუბრყვილობით გვაფიქრბინებს, რომ მას იმპერიული ხრიკებზე არც უფიქრია და იგი ბრმა იარაღია იმპერიის აღდგენის ხელში. ამიტომ მას სიამოვნებით დავუბრუნებთ იმ სიტყვებს, რომელიც მან ჩვენ გვიძღვნა: „... მიუტყვე ამით, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ (ლუკა, თავი 23, მუხლი 34).

აქვე გვინდა, რომ გავახსენოთ: ჩვენი წერილის დასაწყისში ვწერდით საქრებულოს იმ ფუნქციანზე, რომელიც „გარედ არს, სახელმწიფოს“ და ვებრუნდით მკითხველს, რომ ბოლოში გავუმხელოდით იმას, რაც „შიგნიდ არს, უხედეველ“. იმ, ისიც: თავდაზნაურთა ერთობა, რომელიც აპოლიტიკურობის სახაზით წახდებოდა გამოირცხვავ მეფის არჩებობას და მას თავდაზნაურთა წინააღმდეგით ცვლის — თავისი არსით რაქციულია და საკუთარი მეფის უარყოფილი, გვირგვინის პრინციპით ჩამოკლებულ საქრებულოს ფუნქციანა იმპერიიდან ქართველ-უხსნელ საქართველოში, მხოლოდ მე-9 კოლონის წევრობა შეიძლება იყოს და სხვა არაფერი!

ზურაბ ახანაძე
ანდრეი ზულიძე

P.S. „თქვა ვაზირმან არაკიორი მოლა“

ორი მოლა იყო ერთსა ქალაქსა შოან. ესრეთ მტერნი იყვნენ, ერთად ვერ მოთავსდნენ, არც არა ერთად სვიან და სქამიან. ამის ცდილობდნენ, ერთი მეორესა წახედიან.

დღესა ერთსა ერთი მოლა ნახეს სხვისა დიაცისა თანამყოლისა. კაცთა მათ იგი მოლა და დიაცი ორნივე შეიპყრეს და ერთს ორმოსა შვიან ჩაყარეს. ენებათ მეორეს დღეს მოსახან ყალი და მოწამენი და ორნივე დახოცონ.

სენა მეორემან მოლაშან, მტერმან მის მოლოშან ირბინა, მის მოლოს სახლში მივიდა, მისი ცოლი მოიყვანა, მის მოლოს დამეჩაუტა ორმოსა შვიან და ვგრე უთხრა: „მეც დიაცის სამოსელი მაგას შემოსეთ და მაგისი მაგისო. და ეგ ამოუღეთო!“

ეგრე მყო ყოველივე, რომელი მტერმან უთხრა.


განითად მოვიდა ყალი და მოწამენი და იგი მტერი მოლაცა მივიდეს. ამოიყვანეს იგი მოლაცა და დიაცთა ნახეს. მან მტერმან მოლაშან თქვა: მე ზოცო ყოველი მიცხობთ, მაგისი მტერი ვარ, მაგრამ რას ემართლებთ უბოლოს, თავისი ცოლი ყოფილია! გაუშვიეს.

მერმე მან მოლაშან ასე უთხრა: შენც იცი, როგორც მტერი ვარ შენი, მაგრამ ეს ამისთვის გეყავ, მეც ავის მქმნელი არ ვეგონო, ვისმე, რომე ჩემის სახის მსგავსება გავქვს, მისთვის, მოგარჩინე, შენც მოლა ხარ და მეცაო!“

გვამცნოს საბას იგავი.

როგორც მკითხველებისათვის ნათელი ვახდა, მონარქისტულ იდეასა და ისტორიულ საგვარეულოთა თავდაზნაურულ საქრებულოს საერთო არა აქვს რა ერთმანეთთან და ოდენ მათი სახეების მსგავსებამ (თუც კი ვერ მათგან მონარქიზმის უარყოფისა არაფერი ვიცოდით), ჩვენს შორის პოლემიკის დაწყებამდე გადავადგვევინა მომრიგებლობის ნაბიჯი, მაგრამ საქრებულოს დამაარსებელმა, ქალბატონმა იო მუხრანელმა კატეგორიულად არ ისურვა ჩვენთან ლაპარაკი.

უფალმა განიკითხოს საკუთარი ერის წინაშე მტყუნა და მართალი ჩვენს შორის!



ღარი

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულა დანი — „და დაჯდა მეფედ თე მისი დანი საყდარსა მამისა თეისასა“. დანი ვახდა ქართლის (იბერიის) მეთერთმეტე ქრისტიანი ხელმწიფე, მეფობდა VI საუკუნის დასაწყისში. (დაახლოებით 502-514 წლები).

დანი ხუთი წლისა ყოფილა, როდესაც ვახტანგ გორგასალმა სამეფო გვირგვინი დაადა — „იყო ხუთისა წლისა, და დაადა გვირგვინი და დაუტევა ქართლისა მეფედ“. დანი უქარმაში იზრდებოდა და ცნობილია უქარბელის ზედწოდებით.

ჯუანშერის გადმოცემით, დანი გამეფებისთანავე შეუდგა სპარტსელებისგან დაქველ ქართლში აღმშენებლობით საქმიანობას. სწორედ დანიმ დაასრულა თბილისის მშენებლობა (ვახტანგ გორგასლის მიერ დაწყებული) და სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა — „ამან დანი მეფემან იყო შედგომად სიკუდილისა ვახტანგისა შენებდა ქართლისა, რამეთუ მოხრებულ იყუნეს ყოველნი ხევი ქართლისანი, თუნი იერაქეთისა და კლარჯეთისა და ვერისისა, და განასრულნა ზოლდნი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს. იგი შექმნა სახლად სამეფოდ“. მცხეთა დარბაზის სულთწიგნი, საქათლოოს სო ცენტრად — „და მოკულა ქეტრე კათალიკოზი და დაჯდა სამოულ და მეფემან მიათულა მას მცხეთა“.

მატიანეს ცნობით, დანი წარმართ მთიელებში ქრისტიანობას ავრცელებდა — „ამანვე მეფემან დანი დაპატარა მთეულთა კახეთისათა,

რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს...“

დანი იყო ვახტანგ გორგასლის შვილი პირველი ცოლისაგან (სპარსეთის მეფის ასულ შალენდუხტისაგან). მეორე ცოლისგან (ბიზანტიის კეისრის ასულ ელენესაგან) მას ორი ვაჟი ჰყავდა — ლეონ და მირდატ. ჯუანშერი აღნიშნავს, რომ მძებრე აღიარებდნენ დანის პირველობას და ემორჩილებოდნენ მას. დანის გამეფების შემდეგ „ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისნი წარიყვანნენ სამთა ერისთავთა. დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგს და დასხდეს წოდნას ქალაქსა და ზაფხულის და ზამთრის იყუნინ ოძრეხს, და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა მთავრად, და იყუნენ მორჩილებასა მძისა მათისა დანი მეფისასა“. მას მეორე, რაც ცნობილი გარდაიცვალა „მირდატს ევაჭრა ძმა მისი დანი, მეფემან გაუცვალა ქუეყანა, აღილო მირდატისაგან უგრის-წყალსა და კლისურასა შეა მირდატისა დედული, საზღვაოი საბერძნეთისა, და მისცა ნაეულად ჭავჭავთი ფარეხითგან მტკვრამდე, ტასისკართგან ვიდრე სპერამდე; ერისთავობა მუნ, და იყო მორჩილ ძმისა თულისსა, დანი მეფისა. ამან აღაშენა ჭავჭავთის ეკლესია წყაროსთავისა“.

დანიმ ააგო თბილისში ანჩისხატის ეკლესია („მოქცევა ქართლისას“ მატეანეში მოხსენიებული „მარიამ წმიდაი ეკლესია“).

დანის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე აღაჯდა ძე მისი ბაკურ“.

მოამზადა
ირაკლი ლომოვარმა.
ზურაბ ახანაძის ნახატზე

გამოიწერეთ ყოველკვირავალი გაზეთი

- „თავისუფალი საქართველო“**
- ფასი: 1 თვით—2 მან. 15 კაპ.
3 თვით—6 მან. 45 კაპ.
6 თვით—12 მან. 90 კაპ.
12 თვით—25 მან. 80 კაპ.

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი
სარედაქციო კალეფა: ზინიად გავსახარაძე, მუსხრან გაბაშვილი, თედო ვაბაშვილი, გარამ აბრკიაშვილი, თაურა ქორიკა, ნოდარ წულუისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შინაზ კოსტავაძე შინა № 14, ბელაშვილი 98-81-57.
05ფაქსი 66421
თავდაპირველად დაარსდა 1990 წელს. მისი რედაქტორი იყო ვ. ს. ავალიშვილი. მისი რედაქტორი იყო ვ. ს. ავალიშვილი. მისი რედაქტორი იყო ვ. ს. ავალიშვილი.